

ცემენტის სპეციალური ცემენტო-ფხვნილი

აღწერილობა

ცემენტის პოლიმერგამყარებული თხევადი მაღალი სიმტკიცის თვითგავრცელებადი ხსნარი; არ ხასიათდება შეკლებით.

EN 1504-3 CE სერტიფიკატი.

გარემოს დაცვისა და ურბანული დაგეგმარების სამინისტრო #04.613/3c

გამოყენების სფეროები

- *ჩამოსხმული ბეტონკონსტრუქციების სამონტაჟო დეტალები,
- *ტურბინები, ტუმბოები, კომპრესორები და გენერატორები ელექტროსადგურებში,
- *შემავსებელი სამრეწველო მანქანა-დანადგარებისა და ფოლადის სვეტების ფუძეებს და სამონტაჟო ფილას შორის,
- *გამოიყენება ტიხრების თავების და სვეტების წარმოებაში.

პროდუქტის თვისებები

- *ირევა მხოლოდ წყალთან, ისხმება ყალიბში, იოლად დასაგებია.
- *აქვს კომპრესიული ძალის მაღალი მაჩვენებელი
- *არ ახასიათებს შეკლება
- *თხევადია
- *უზრუნველყოფს ძლიერ მიკრობას ბეტონსა და რკინაბეტონთან
- *შეუღწევადობის მაღალი მაჩვენებელი
- *მდგრადია მოყინვა-დნობის ციკლისადმი

გამოყენების პროცედურა

მანქანა-დანადგარების და საფუძვლების მომზადება

მანქანა-დანადგარის დამონტაჟებამდე, დაუმაგრებელი და დეფექტური ზონები უნდა დასუფთავდეს, ხოლო ზედაპირები, რომლებზეც ცემენტის ხსნარი უნდა

ყალიბის მომზადება

ყალიბები უნდა დამზადდეს მყარი მასალისგან, რომელიც არ ჟონავს და იწოვს გრავიტაციულ წყალს. ყალიბი უნდა დამონტაჟდეს ისე, რომ შესაძლო ზეწოლას გაუძლოს. საყრდენ ფილასა და ყალიბს შორის 5 სმ შესავსები ნაპრალი უნდა იყოს, რომელშიც ცემენტის ხსნარი უნდა ჩაისხას. ცემენტის ხსნარის გასანაწილებლად ყალიბის სიმაღლე უნდა იქნას ასევე გათვალისწინებული ჩამოსასხმელ მხარეს.

შერევა

სუფთა წყლის რეკომენდებული ოდენობა ჩაასხით სპეციალურ სათლში. ნელ-ნელა დაამატეთ Eile Grout 50 C. მოურიეთ დაბალი სიჩქარის მიქსერით 3-4 წუთის განმავლობაში, ერთგვაროვანი ნარევის მიღებამდე. 4-5 წუთის ლოდინის შემდეგ კვლავ მოურიეთ 30 წამის განმავლობაში. ამის შემდეგ ნარევი გამოყენებისთვის მზადაა.

შერევის თანაფარდობები

25 კგ ტომარა: 3.5 – 4 ლ წყალი
1 კგ ფხვნილი: 0.140 – 0.160 ლ წყალი
ნარევის სიმკვრივე: 1.9 – 2.1 გ/სმ³.

გამოყენების მეთოდი

თუ იმ დანადგარის მახლობლად სხვადასხვა მანქანა-დანადგარები მუშაობს, რომლის საფუძვლის შევსებაც ხდება, უნდა დადგინდეს, თუ რა ხარისხით გადაეცემა მას აღნიშნული მანქანა-დანადგარების ვიბრაციები. საჭიროების შემთხვევაში მომუშავე მანქანა-დანადგარები უნდა გამოირთოს ცემენტის ხსნარის მოკიდებამდე (20°C ტემპერატურაზე მინიმუმ 10-12 საათით). დაცემენტება კონსისტენტური უნდა იყოს ყოველგვარი სახის ვიბრაციის გამოყენების გარეშე. ჰაერის ბუშტუკების გამოსადევნად საკმარისია ერთი მხრიდან დასხმა. ორი მხრიდან დასხმა არ არის რეკომენდებული.

eile GROUT 50C

დაესხას, გაუხეშებული უნდა იქნას. უცხო სხეულები, როგორცაა ცხიმი და მტვერი, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ცემენტის ხსნარის ეფექტურობაზე, დასუფთავებული უნდა იქნას. საყრდენ ფილაში უნდა გაიბურღოს ნახვრეტისანი პორტები. მანქანა-დანადგარი უნდა დამონტაჟდეს და ხოლო მისი წონასწორობა და პოზიცია უნდა დარეგულირდეს. ეს პოზიცია არ უნდა შეიცვალოს. თუ სიგრძის ბრტყელპარალელური საზომები ამოღებულია, აუცილებელია მათი ოდნავ შეხეთვა იმისათვის, რომ ცემენტის ხსნარი არ მიეკრას. მანქანა-დანადგარის დამონტაჟების და დარეგულირების შემდეგ, ცემენტის ხსნარის დასხმამდე მინიმუმ 6 საათით ადრე, საფუძვლის ბეტონი უნდა გაიჟღინთოს წყლით.

ტექნიკური სპეციფიკაციები

მასალის სტრუქტურა მინერალური შემავსებლები და პოლიმერგამყარებული სპეციალური ცემენტი

ფერი	რუხი
კომპრესიული ძალა (დღე)	>55 N/mm ² (28)
სიმტკიცე ღუნვისადმი (დღე)	>8 N/mm ² (28)
ადჰეზიური შეკავშირების ძალა	>2 N/mm ² (28 დღე)



ცემენტის ხსნარით სრულად შეავსეთ სივარული საყრდენ ფილასა და საფუძველს შორის. ღია ზედაპირები მინიმუმ 24 საათის განმავლობაში დაიცავით დეჰიდრატაციისგან. მისი გამოყენება რეკომენდებულია +5°C - +30°C ტემპერატურის პირობებში.

გაითვალისწინეთ:

- *ატმოსფერულ მოვლენებს დაქვემდებარებულ ზონებში, განსაკუთრებით ცხელ, მშრალ ან ქარიან ადგილებში, სპეციალური მასალები დაცული უნდა იქნას სწრაფი აორთქლებისგან 24-48 საათის განმავლობაში.
- *გარემო და იატაკის ტემპერატურა უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მითითებულს.
- *მასალა დასხმული უნდა იქნას მინ. 10 მმ და მაქს. 40 მმ სისქეზე. უფრო სქელი ფენისთვის მასალა უნდა დაისხას 2-3 ფენის სახით, ან 1 ფენის სახით, ცემენტის ხსნარში სუფთა შემავსებლის დამატების გზით.
- *მასალის განაწილების (გავრცელების) დროს ვიბრაციის გამოყენება დაუშვებელია.



1020

POMZA EKSPORT SAN. TIC. AS,-EiLE
Ankara Asfalti Belkahve Mevkii 476/A
Kavaklidere Koyu-Bornova-Izmir/Turkiye
12
TS EN 1504 – 3

კონსტრუქციული სარემონტო ცემენტის ხსნარი

ფენის სისქე მინ. 10 მმ, მაქს. 100 მმ

მუშა ტემპერატურა -20°C +400°C

გამოყენების ზონის ტემპერატურა +5°C - +30°C

ექსპოზიციის დრო 30 წთ (+20°C)

სრული შრომის დრო 24 სთ (+20°C)

სრული გამყარების დრო 28 დღე

*ტიპური სიდიდეები მიღებული იქნა ექსპერიმენტების შედეგად, რომლებიც ჩატარდა +23°C ტემპერატურის და 50% ფარდობითი ტენიანობის, 4x4x16 ხსნარის პრიზმის პირობებში. ეს სიდიდეები შეიძლება შეიცვალოს ადგილობრივი გარემოს მიხედვით. მაღალი ტემპერატურა ამცირებს, ხოლო დაბალი - ზრდის მითითებულ ხანგრძლივობას.

მოხმარება

17-18 კგ/მ² 10 მმ სისქისთვის.

იარაღების დასუფთვება

გამოყენების შემდეგ გამოყენებული იარაღები და აღჭურვილობა წყლით უნდა გაიწმინდოს. მასალის გამყარების შემდეგ მათი გაწმენდა შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად.

კომპრესიული ძალა: R4

ცეცხლისადმი მდგრადობის კლასი: A1

შეფუთვა

25 კგ კრაფტ-ტომარა

შენახვის წესი

შეინახეთ გაუხსნელი შეფუთვით, გრილ და მშრალ ადგილას. ერთმანეთზე დაალაგეთ არაუმეტეს 10 შეფუთვისა.

ვარგისიანობის ვადა

ვარგისიანობის ვადა, შენახვის პირობების დაცვის შემთხვევაში, შეადგენს 12 თვეს წარმოების თარიღიდან.